

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
კულტურული მემკვიდრეობის  
საბჭო

N 03-07/22

„4“ მისი 2019 წელი ქ.ბათუმი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან 2019 წლის 8 თებერვალს №25/1893 კორესპონდენციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილი იქნა ქალაქ ბათუმში, ბაქოს ქუჩა N15-ში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.29.01.009) მშრალი ტვირთის (კარბამიდი) ტერმინალის სამშენებლოდ გამოყენების პირობების, სამშენებლო პროექტის შეთანხმების, მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე. განმცხადებელი: შპს „ვონდერნეტ ექსტრეს ინვესტმენტ გრუფი“.


აღნიშნული საკითხი განხილული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს მიერ ოქმი №03-06/03 (27.02.2019წ). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 52 მუხლის მესამე პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის №18 დადგენილების შესაბამისად.

საბჭომ გადაწყვიტა:

შეთანხმებულ იქნას კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ქალაქ ბათუმში, ბაქოს ქუჩა N15-ში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.29.01.009) მშრალი ტვირთის (კარბამიდი) ტერმინალის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და არქიტექტურული პროექტი. საბჭოს ესწრებოდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები: გიორგი ზარიძე, არჩილ გათენაძე და თემურ კვაჭაძე.

საბჭოს თავმჯდომარე:

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს  
დირექტორი - ზაურ ახვლედიანი



საბჭოს წევრები:

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს  
დირექტორის მოადგილე - ოლეგ ბოლქვაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს  
სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის  
დეპარტამენტის უფროსი - ნუგზარ ძნელაძე

ქალაქ ბათუმის მერიის არქიტექტურისა და  
ურბანული დაგეგმარების სამსახურის  
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მირიან მეტრეველი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
მთავრობის თავჯდომარის მრჩეველი - დავით ზოიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის  
უფროსი მასწავლებელი - ზვიად ბურჭულაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
კულტურული მემკვიდრეობის  
საბჭო

N 03-07/23

„4“ აპრილი 2019 წელი ქ. ბათუმი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან 2019 წლის 12 თებერვლის №25/2194 კორესპონდენციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილი იქნა ქალაქ ბათუმში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №31-33-35-37-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.28.03.21; 05.28.03.022 / 015 / 028 / 046) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე. განმცხადებელი: შპს „არქოსი“.

აღნიშნული საკითხი განხილული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს მიერ ოქმი №03-06/03 (27.02.2019წ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 45-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის № 18 დადგენილების შესაბამისად.

**საბჭომ გადაწყვიტა:**

უარი ეთქვას კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ქალაქ ბათუმში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №31-33-35-37-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.28.03.21; 05.28.03.022 / 015 / 028 / 046) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას. (უარი სიმაღლის გამო).

**საბჭოს თავმჯდომარე:**

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს  
დირექტორი - ზაურ ახვლედიანი

